შეთანხმება

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2023 წლის 20 სექტემბერს, ქ. თბილისში

ერთის მხრივ, ,,**უფლების გადამცემი**" - შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე" (ს/ნ: 204853088) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლელა კაკულიას (პირადი № 01006001050) სახით

და

მეორე მხრივ, ,,**უფლების მიმღები**" - შპს „რედ კაფე" (ს/ნ: 404875328) წარმოდგენილი მისი დირექტორის, პაატა გაზაკაშვილის (პირადი N 01026010485) სახით

შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები";

იმის გათვალისწინებით, რომ

- უფლების გადამცემმა შეისყიდა შემდეგი უძრავი ქონება: მდებარე: ქ. თბილისი, დარიალის ქუჩის დასაწყისში, ავტოსადგომის მიმდებარედ; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 75 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 მშენებარე; საკადასტრო კოდი: 01.14.11.001.006;
- ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლებები არქიტექტორის მიერ სრულად გადაეცა უფლების გადამცემს;
- უფლების მიმღებმა უფლების გადამცემისგან შეისყიდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება და აქვს სურვილი, რათა ასევე გადაეცეს საავტორო უფლებები;

მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ვთანხმდებით, რომ:

1. უფლების გადამცემი სრულად გადასცემს უფლების მიმღებს შენობა-ნაგებობაზე მომზადებულ არქიტექტურულ პროექტზე არსებულ თავის საავტორო უფლებებს, მათ შორის, ქონებრივ უფლებებს, გარდა ავტორის სახელის უფლებისა.
2. უფლების მიმღები უფლებამოსილია შესრულებული არქიტექტურული პროექტი/მისი ნაწილი, მუშა ნახაზები საკუთარი შეხედულებისამებრ, ერთპიროვნულად, გამოიყენოს, შეცვალოს, დაბეჭდოს, გაავრცელოს, განკარგოს, გაამრავლოს, გადააკეთოს, გამოიყენოს სხვა ნაწარმოების/პროდუქციის შესაქმნელად, გამოიყენოს კომერციული მიზნებისათვის, უფლების გადამცემისგან ყოველგვარი თანხმობის ან/და დამატებითი ანაზღაურების გადახდის გარეშე.
3. გარდა ზემოაღნიშნულისა, არქიტექტორის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად დასრულებული, ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტის (შენობა-ნაგებობის) რაიმე ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, უფლების მიმღები არ საჭიროებს მოიკოვოს პროექტის ავტორის ან/და უფლების გადამცემის თანხმობა ასეთი ცვლილების განსახორციელებლად, რადგან წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, უფლების მიმღები თავად არის უფლებამოსილი შეიტანოს/განახორციელოს ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება არქიტექტურულ პროექტში.
4. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, უფლების მიმღები უფლებამოსილია ცალმხრივად, უფლების გადამცემისგან ყოველგვარი დამატებითი თანხმობის/ნებართვის გარეშე მიმართოს ნებისმიერ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებას, მათ შორის, ქ. თბილისის მერიას, არქიტექტურის სამსახურს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სხვა, რათა თავისი სურვილისამებრ განახორციელოს არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება/გადაკეთება.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

6. წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო თითოეული მხარისთვის.

მხარეთა ხელმოწერები:

უფლების გადამცემი

ლ. კაკულია

შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“
დირექტორი
ლელა კაკულია

უფლების მიმღები

პ. გაზაკაშვილი

შპს „რედ კაფე“
დირექტორი
პაატა გაზაკაშვილი

შეთანხმება

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2022 წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში

ერთის მხრივ, **„მყიდველი“** - შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“ (ს/ნ: 204853088) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ლელა კაკულიას (პირადი № 01006001050) სახით
და
მეორე მხრივ **„არქიტექტორი“** - ფ/პ: ხათუნა მიქაბერიძე (პ/ნ: 01008021032)

შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“;

იმის გათვალისწინებით, რომ

- მყიდველი ყიდულობს შემდეგ უძრავი ქონებას: მდებარე: ქ. თბილისი, დარიალის ქუჩის დასაწყისში, ავტოსადგომის მიმდებარედ; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 75 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 მშენებარე; საკადასტრო კოდი: 01.14.11.001.006;
- ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი მომზადდა არქიტექტორის მიერ;
- მყიდველს აქვს სურვილი ცვლილება განახორციელოს ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ პროექტში.

მხარეები წინამდებარე შეთანხმებით ვთანხმდებით, რომ:

1. არქიტექტორი სრულად გადასცემს მყიდველს შენობა-ნაგებობაზე მომზადებულ არქიტექტურულ პროექტზე არსებულ თავის საავტორო უფლებებს, მათ შორის, ქონებრივ უფლებებს, გარდა ავტორის სახელის უფლებისა.
2. მყიდველი უფლებამოსილია შესრულებული არქიტექტურული პროექტი/მისი ნაწილი, მუშა ნახაზები საკუთარი შეხედულებისამებრ, ერთპიროვნულად, გამოიყენოს, შეცვალოს, დაბეჭდოს, გაავრცელოს, განკარგოს, გაამრავლოს, გადააკეთოს, გამოიყენოს სხვა ნაწარმოების/პროდუქციის შესაქმნელად, გამოიყენოს კომერციული მიზნებისათვის, არქიტექტორისგან ყოველგვარი თანხმობის ან/და დამატებითი ანაზღაურების გადახდის გარეშე.
3. არქიტექტორის მიერ შექმნილი არქიტექტურული პროექტით სარგებლობის განსაკუთრებული (ექსკლუზიური) უფლება აქვს მხოლოდ მყიდველს.
4. არქიტექტორი არ არის უფლებამოსილი მის მიერ შემუშავებულ არქიტექტურულ პროექტზე საავტორო უფლებები გადასცეს მესამე პირს.
5. გარდა ზემოაღნიშნულისა, არქიტექტორის მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად დასრულებული, ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტის (შენობა-ნაგებობის) რაიმე ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, მყიდველი არ საჭიროებს მოიპოვოს პროექტის ავტორის თანხმობა ასეთი ცვლილების განსახორციელებლად, რადგან წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, მყიდველი თავად არის უფლებამოსილი შეიტანოს/განახორციელოს ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება არქიტექტურულ პროექტში.

6. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, მყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად, არქიტექტორისგან ყოველგვარი დამატებითი თანხმობის/ნებართვის გარეშე მიმართოს ნებისმიერ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებას, მათ შორის, ქ. თბილისის მერიას, არქიტექტურის სამსახურს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სხვა, რათა თავისი სურვილისამებრ განახორციელოს არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება/გადაკეთება.
7. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
8. წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო თითოეული მხარისთვის.

მხარეთა ხელმოწერები:

მყიდველი

შპს „ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე“
დირექტორი
ლელა კაკულია

არქიტექტორი

ხათუნა მიქაბერიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230941552
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.07.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი ია ყიფიანი	**ია ყიფიანი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	36113209202623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივლისს მე, ნოტარიუს - ია ყიფიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს: ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში, მომმართეს:

ქალბატონმა **ლელა კაკულიამ** (დაბ. 09.07.1969 წელს, პირადი № 01006001050, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, III მასივი, VI კვარტალი, კორპუსი 13, ბინა 56) და

ქალბატონმა **ხათუნა მიქაბერიძემ** (დაბ. 25.04.1976 წელს, პირადი # 01008021032, რეგისტრირებული თბილისი ივანე თარხნიშვილის ქ. N 18-20 ბ. 18).

წარმოადგინეს მათ მიერ შედგენილი და ტექნიკურად გამართული 13/06/2022 წლის შეთანხმება (ორ ეგზემპლარად, თითოეული ორ გვერდად) და მათი სურვილია სანოტარო წესით დამოწმდეს აღნიშნულ დოკუმენტზე მათი ხელმოწერის ნამდვილობა.

ხელმომწერთა პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დოკუმენტს ხელმომწერებმა ხელი მოაწერეს ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსმა ია ყიფიანმა ხელმომწერებს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მათი ხელმოწერების სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ მის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 32,00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 5,76 ლარი. სულ: 42.76 ლარი.

ნოტარიუსი ია ყიფიანი

